



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 37
06/06/2018

37-06-4-201806061759



განკარგულება N37
6 ივნისი 2018 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ26.12.14.007) სოფელ ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 400 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ26.12.14.007) სოფელ ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 400 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში, 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, სსიპ - საქართველოს საპატრიარქოსათვის გადაცემისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო